

საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში


მე-2 კლასი

- {4ქ} გიორგიმ ჩაიფიქრა რიცხვი, დაუმატა მას 3, შემდეგ გამოაკლო 2 და მიიღო 8. რა რიცხვი ჩაუფიქრებია მას?
 ა) 6 ბ) 7 გ) 8 დ) 9 ე) ვერ დავადგენთ
- {3ქ} თიკომ დაწერა სიტყვა „ყვავი“ ორჯერ. რამდენჯერ გამოიყენებდა ის ასო-ბგერა „ვ“-ს ამ ჩანაწერში?
 ა) არც ერთხელ ბ) ერთხელ გ) ორჯერ დ) სამჯერ ე) ოთხჯერ
- {1ქ} როგორ ჩაიწერება ციფრებით: სამოცდაოთხი?
 ა) 64 ბ) 46 გ) 74 დ) 57 ე) 54
- {6ქ} რამდენით მეტი ჩიტია მარჯვენა ჯგუფში, მარცხენა ჯგუფთან შედარებით?




- ა) 1
 ბ) 2
 გ) 3
 დ) 4
 ე) 5

- {2ქ} სულ რამდენი ჩიტია წინა სავარჯიშოში გამოსახულ სურათზე?
 ა) 10 ბ) 11 გ) 12 დ) 13 ე) 14
- {5ქ} კლასში 17 ბავშვი სწავლობს, მათ შორის ირაკლი. მას უნდა ყველა კლასელს თითო საჩუქარი აჩუქოს. ირაკლიმ უკვე მოუმზადა საჩუქარი 9 კლასელს. კიდევ რამდენი კლასელისთვის დარჩა საჩუქარი მოსამზადებელი?
 ა) 9 ბ) 8 გ) 7 დ) 6 ე) 5
- {1ქ} ჩამოთვლილებიდან რომელ ყვავილს აქვს 5-ზე მეტი, მაგრამ 7-ზე ნაკლები ფურცელი?



- {4ქ} ბებია მთავისი ორი ტყუპი შვილიშვილისთვის: სანდროსთვის და ლუკასთვის თანაბარი ოდენობის ერთნაირი ქუდები იყიდა. სანდროს შეხვდა 3 სხვადასხვა ფერის ქუდი, თითოეული ფერის 2 ცალი. სულ რამდენი ქუდი შეუძენია ბებიას?
 ა) 2 ბ) 3 გ) 4 დ) 6 ე) 8
- {5ქ} რას ნიშნავს რიცხვების კლებალობით დალაგება?
 ა) არეულად დალაგებას ბ) უცვლელად დატოვებას გ) დალაგებას უდიდესიდან უმცირესისკენ
 დ) შუაში მდგომი რიცხვის თავში გადმოტანას ე) დალაგებას უმცირესიდან უდიდესისკენ
- {3ქ} თაგუნა ყველთან მისასვლელად სურათზე გამოსახულ ხაზს მიყვება და მხოლოდ მისგან მარცხნივ მდგომ ასო-ბგერებს კითხულობს. რა სიტყვა ექნება მას წაკითხული ყველთან მისვლისას?



- ა) ყვავი
 ბ) ყავისფერი
 გ) ფისო
 დ) ყველი
 ე) არც ერთი

- {2ქ} ჩამოთვლილებიდან რომელი არ არის ნატურალური რიცხვი?
 ა) 0 ბ) 1 გ) 2 დ) 3 ე) 4
- {4ქ} რამდენი წვერო აქვს წრეს?
 ა) 0 ბ) 1 გ) 2 დ) 3 ე) უამრავი
- {1ქ} გამოთვალე და დაადგინე ლუწია თუ კენტი მიღებული პასუხი: $11 - 2 =$
 ა) ლუწია ბ) კენტი გ) არც ერთია დ) ორივეა ე) ვერ დავადგენთ
- {6ქ} იპოვეთ მიმდევრობის მომდევნო წევრი: 1; 3; 5; 7; ...
 ა) 8 ბ) 9 გ) 10 დ) 11 ე) 12
- {4ქ} რიცხვის გაორმაგება იგივეა რაც:
 ა) მისთვის 1-ის დამატება ბ) მისთვის 1-ის გამოკლება გ) მისთვის 0-ის მიწერა
 დ) მისთვის თავისი თავის დამატება ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

